

# სეფსისის თავიდან აცილების 4 გზა

ერთი ნაბიჯით

სეფსისზე წინ

ივოლა რისკაბი. აპოიზანი ნიშნები.  
იოქამელა სწრაფად.

**ინფექციები თქვენ და თქვენს ოჯახს სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობის, სეფსისის, განვითარების რისკის ქვეშ აყენებს.**

სეფსისი - ორგანიზმის უკიდურესი რეაქცია ინფექციაზე. ის სიცოცხლისთვის საშიშია და დროული მკურნალობის გარეშე შეიძლება სწრაფად გამოიწვიოს ქსოვილების დაზიანება, ორგანოების უკმარისობა და სიკვდილი. სეფსისი ვითარდება მაშინ, როდესაც უკვე გაქვთ ინფექცია - კანში, ფილტვებში, საშარდე გზებში ან სხვაგან - ის აპროვოცირებს ჯაჭურ რეაქციას მთელ სხეულში.

**ნებისმიერს შეიძლება დაემართოს ინფექცია და თითქმის ნებისმიერმა ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს სეფსისი.**


## 1 | ინფექციების პრევენცია

ესაუბრეთ თქვენს ექიმს ან ექთანს იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც შეგიძლიათ გადადგათ ინფექციების პრევენციისთვის.



## 2 | დაიცავით ჰიგიენის წესები

არ დაგავიწყდეთ ხელების დაბანა და შეინარჩუნეთ ჭრილობა სრულ შეხორცებამდე სუფთად და დაფარული.



## 3 | იცოდეთ სიმპტომები

სეფსისის სიმპტომები შეიძლება მოიცავდეს რომელიმე ერთს ან მათ კომბინაციას:

	დაბნეულობა ან დეზორიენტაცია		სუნთქვის გაძნელება		გულისცემის მომატება
	ცხელება, კანკალი, ან ძლიერი სიცხის შეგრძნება		ძლიერი ტკივილი ან დისკომფორტი		ნოტიო ან წებოვანი კანი

## 4 | იოქამელათ სწრაფად

დაუყოვნებლივ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას, თუ ეჭვობთ სეფსისზე ან გაქვთ ინფექცია, რომელიც არ უმჯობესდება ან უარესდება.

**სეფსისი სამედიცინო გადაუდებელი შემთხვევაა. დროს აქვს მნიშვნელობა.**

სეფსისის და ინფექციების პრევენციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ვებ-გვერდს [www.cdc.gov/sepsis](http://www.cdc.gov/sepsis).

